



მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №185

2016 წლის 31 აგვისტო

მცხეთა

„მცხეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 16 თებერვლის №18 განკარგულებაში ცვლილების და დამატების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე.დ“ ქვეპუნქტის, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ.ი“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების, „მცხეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების 2015 წლის საპრივატიზებო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 21 აპრილის №49 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 5 აგვისტოს №177 განკარგულებისა და მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2016 წლის 17 აგვისტოს №6921 მომართვის საფუძველზე,

1. შეტანილ იქნას ცვლილება „მცხეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 16 თებერვლის №18 განკარგულებაში, კერძოდ, განკარგულების პირველ პუნქტს დაემატოს „1.20“; „1.21“; „1.22“ ქვეპუნქტები და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

1.1 „1.20“ მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წეროვანში მდებარე 400 მ² არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი ს/კ №72.08.28.582. საწყისი საპრივატიზებო საფასური განისაზღვროს 6005 (ექვსი ათას ხუთი) ლარით.

1.2 „1.21“ მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წეროვანში მდებარე 40 მ² არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი ს/კ №72.08.27.525. საწყისი საპრივატიზებო საფასური განისაზღვროს 605 (ექვსას ხუთი) ლარით.

1.3. „1.22“. მცხეთის მუნიციპალიტეტის ავტომობილი MERCEDES-BENZ სპეციალიზებული, სახელმწიფო სარეგისტრაციო ნომრით - JJ 140 II. საწყისი საპრივატიზებო საფასური განისაზღვროს 6250 (ექვსი ათას ორას ორმოცდაათი) ლარით.



2. განკარგულების შესახებ ეცნობოს მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობას.
3. განკარგულება ძალაშია გაცნობისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონულ სასამართლოში, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში. მცხეთა, სამხედროს ქ. №17.

საკრებულოს თავმჯდომარე



ჯემალ სოლოლაშვილი